საქართველოს პრემიერ-მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 316 2025 წლის 27 ნოემბერი ქ. თბილისი

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების მიზნით საბჭოს წევრთა დანიშვნის შესახებ

1. „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების საბჭოს (შემდგომში – საბჭო) წევრებად დაინიშნონ:

ა) **გიორგი გამყრელიძე** – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს უფროსი – საბჭოს თავმჯდომარე;

ბ) **გიორგი ვეკუა** – სსკ – საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის გენერალური დირექტორის მოადგილე – საბჭოს წევრი;

გ) **სალომე სანაია** – სსიპ – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამმართველოს უფროსი – საბჭოს მდივანი;

დ) **მარიამ ნოზაძე** – სსიპ – „აწარმოე საქართველოში“ ადამიანური რესურსების უფროსი მენეჯერი – საბჭოს წევრი;

ე) **ხათუნა ცერცვაძე** – სსიპ – დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორის მოადგილე – საბჭოს წევრი;

ვ) **ანა არუშიძე** – სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი – საბჭოს წევრი;

ზ) **ნათია გვირჯიშვილი** – საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე – საბჭოს წევრი;

თ) **ქეთევან გოგელაშვილი** – საქართველოს კულტურის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი – საბჭოს წევრი;

ი) **ნანა დვალი** – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ – გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის განათლების პროექტების სამსახურის სპეციალისტი – საბჭოს წევრი;

კ) **ნინო ასათიანი** – შპს „ჯიაიჯი ჰოლდინგი“-ს ადამიანური კაპიტალის მართვისა და ორგანიზაციული განვითარების დეპარტამენტის უფროსი – საბჭოს წევრი;

ლ) **ნინო ელბაქიძე** – პროფესიული განათლების ექსპერტი – საბჭოს წევრი.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ირაკლი კობახიძე